

მოსწავლე: სალომე ჯალაღონია

ასაკი: 16 წლის

მისამართი: ჩხოროწყუ, სოფელი ახუთი

სკოლა: სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ახუთის თემის N1 საჯარო სკოლა

კლასი: X

ერეკლე მეფის იახტანში დაცული ნივთების ქონებრივი ნუსხა

საქართველოში ყველა მეფეს, ექნებოდა თავისი გემოვნების მიხედვით შერჩეული ნივთები. მეფეების გემოვნება ყველას ეცოდინებოდა და შესაფერის საჩუქრებსაც უძღვნიდნენ. როგორი იქნებოდა ერეკლე მეფის იახტანში ანუ სკივრი. ალბათ ჩუქურთმებითა და ლამაზი ფიგურებით შემკული, ან ლამაზი ქსოვილით გადაკრული. რა იდო სკივრში? შიგ იქნებოდა როგორც ნაჩუქარი ასევე სამახსოვრო ნივთები, იქნებ ყოველდღიურად გამოსაყენებელიც. იახტანში დევს რამდენიმე ფინჯნი, ზოგი ყავის, ზოგი ჩაის, უფრო დიდი ზომის. თავისი ნალბაქით, თავსაფარებლით. ეს ყავის ფინჯნები იყო სკივრივით მოჩუქურთმებული და ფერებში. როგორც ჩანს, ყავის ფინჯნების სიმრავლე მიგვანიშნებს, რომ იყო ყავის მოყვარული იქნებოდა. ერეკლე მეფის დილა, ყოველთვის ყავით დაიწყებოდა, რადგან სკივრში ფინჯნების სიმრავლე ჩანს, რომელთაც საგულდაგულოდ ინახავდა. ყავის ფინჯნებთან ერთად ჰქონია ორი საშაქრე ბროლის, ერთი მწვანე, მეორე თეთრი. მეფის სიყვარული ყავისადმი იქიდანაც ჩანს, რომ ანასტასია ბატონიშვილი, თეკლე ბატონიშვილი და ივანე ბატონიშვილი ჩუქნიდნენ ფინჯნებსა და ნალბაქებს. ეტყობა, რომ მეფეს ტკბილეულების მიმართ ჰქონია დიდი სიყვარული. ამ დოკუმენტით ვმგებულობთ, როდიდან იყო საქართველოს მაღალ საზოგადოებაში ყავის და ჩაის მიღების ტრადიციები.

მეფეს ასევე უყვარდა ქსოვილების მრავალფეროვნება. სკივრში დევს აბრეშუმის, წითელი ხავერდის, ბაშმაუდის ქსოვილები და ერთი ტანი ორფერი მაუდი. ცამეტი მარანდული (სპარსული) საპონი. ვაჭრებს შორეული ევროპის და აზიის ქვეყნებიდან სხვადასხვა ქსოვილი ჩამოჰქონდათ. საქართველოში ხომ „აბრეშუმის“ საქარავნო გზა გადიოდა. როგორც ვიცით, ერეკლე მეფემ ვაჭრობის გასავითარებლად სომეხი ვაჭრები დაასახლა ქალაქ სიღნაღში. ქართლ-კახეთს და შესაბამისად მთლიანად საქართველოს აქვს კავშირი როგორც ევროპულ, ისე აზიურ კულტურასთან, რაც ერეკლე მეფის სკივრში შენახული ნივთებიდანაც ჩანს.

ადლი, როგორც, ვიცით ძველ საქართველოში იყო სიგრძის საზომი ერთეული. უდრიდა ორ წერთას, ქართული წერილობით წყაროებში იხსენიება XVI საუკუნიდან.

სკივრში ედო, ხუთი სიგელის ფურცელი, რომელსაც ერეკლე მეფე გამოიყენებდა სიგელების, განკარგულებებისა და წერილების დასაწერად. მეფე ერეკლეს სკივრში ჰქონდა არა ოქროსა და ვერცხლის ჯვარი, არამედ ხის, რაც მეფის ქრისტესადმი მორწმუნეობის გარდა, მის მოკრძალებას გამოხატავდა უბრალო ნივთებისადმი. პატივს სცემდა ხის მასალასაც. მასში გამოიხატება ერთგვარი მორწმუნეობა და მოკრძალებული გემოვნება. მეფის პიროვნული და სახასიათო ნიშნები, გამოიხატება იმით, თუ როგორი ნივთები უყვარდა და როგორი მოკრძალებული გემოვნება ჰქონდა.